

კონფიდენციალობის პოლიტიკა

საქართველო, ქ. თბილისი

1. ზოგადი დებულებები

1.1. კონფიდენციალობის პოლიტიკა

კომპანია **შპს „მაქს ექსპრესს“**-ი (შემდგომში - კომპანია) მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცვის ვალდებულებას იღებს.

წინამდებარე კონფიდენციალობის პოლიტიკა მომსახურების გაწევის პირობებთან ([„ხელშეკრულება საგადახდო მომსახურების შესახებ“](http://maxexpress.net)) ერთად კომპანიის მიერ ვებ-გვერდის <http://maxexpress.net> (შემდგომში - „ვებ-გვერდი“) მეშვეობით მომხმარებელთაგან მიღებულ პირად მონაცემებთან მუშაობის საფუძველს წარმოადგენს. მომხმარებელთა პირადი მონაცემების გამოყენება, გახსნა და დამუშავება საიტის სერვისების გამოყენების შედეგად ხდება.

1.2. კონფიდენციალობის პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა

კომპანია იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს და წინასწარი შეტყობინების გარეშე შეიტანოს კონფიდენციალობის პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილებები, თუ ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მომხმარებელთა პირადი მონაცემების გამოყენების წესში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია წინასწარ, ასეთი ცვლილებების ძალაში შევსლის მომენტამდე, შეატყობინოს ამის შესახებ მომხმარებელს რეგისტრაციისას მის მიერ დატოვებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი შეტანილ ცვლილებებს არ ეთანხმება, მას აქვს საკუთარი აქაუნტის დახურვის უფლება, კომპანიის მხარდაჭერის სამსახურში საიტზე მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოთხოვნით მიმართვის გზით.

2. კონფიდენციალური ინფორმაცია

კონფიდენციალურად ითვლება ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, რომელიც შეიცავს:

- სრულ სახელსა და გვარს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის ნომერს, დაბადების თარიღს, საბანკო ან საგადახდო ბარათების ნომრებს;
- ცნობებს ტრანზაქციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება საიტის მეშვეობით მომხმარებლის პირადი კაბინეტის გამოყენებით;
- მონაცემებს საბონუსო პროგრამებში მონაწილეობის შესახებ;
- კომპანიასთან წარმოებულ კორესპონდენციას;
- სამომხმარებლო IP-მისამართებს, საოპერაციო სისტემასა და ბრაუზერს;
- ცნობებს საიტზე შესვლის და მოქმედებების შესახებ.

3. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება

მომხმარებლებისგან მიღებულ ინფორმაციას კომპანია იყენებს შემდეგი მიზნებისთვის:

- მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი კომპანიის სერვისების მომსახურებათა შესრულებისთვის;
- სამომხმარებლო აქაუნტის და პირადი კაბინეტის ოფციების მომსახურებისთვის;
- სერვისის სიახლეების, კომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების და საქმიანობის შესახებ ინფორმირებისთვის;
- მომხმარებელთა მიმართვის შემთხვევაში ტექნიკური მხარდაჭერის განხორციელებისთვის;
- კანონმდებლობის ნორმების შესრულებისთვის.

4. კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოება

კომპანია იყენებს სათანადო ძალისხმევას მომხმარებელთა პირადი მონაცემების არასანქცირებული წვდომისგან ან არასანქცირებული გახსნის ან განადგურებისგან დასაცავად, კერძოდ:

- ამოწმებს ინფორმაციის შეგროვების, შენახვის და დამუშავების პროცესებს, და აგრეთვე უსაფრთხოების ზომებს პირადი მონაცემების არასანქცირებული წვდომისგან დასაცავად;
- კომპანია უზრუნველყოფს თქვენი პირადი მონაცემების უსაფრთხოებას და მუდამ იცავს მათ გამიფვრისგან იმისთვის, რომ დაიცვათ თქვენი პირადი მონაცემები არასანქცირებული წვდომისგან ან არასანქცირებული ცვლილებისგან, გახსნისგან ან განადგურებისგან. ამავდროულად, ზოგიერთი დაშიფრული მონაცემების შემოწმება მხოლოდ თვით მომხმარებელს შეუძლია.

პირადი მონაცემების

პირადი მონაცემების წაშლა ან განადგურება ხდება კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დადგენილი წესით.

5. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

5.1. პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს კანონიერად და სამართლიანად.

5.2. კონკრეტული მიზნით შეზღუდვა პერსონალური მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნისთვისაც მონაცემები შეგროვდა. მონაცემთა დამუშავების მიზნის შემდგომი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მოითხოვს შესაბამისი საფუძვლების არსებობას.

5.3. მონაცემთა სუბიექტი უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება. ზოგადად, პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს უშუალოდ იმ პირისგან, ვისაც ეს მონაცემები ეხება. როდესაც ხდება მონაცემების შეგროვება, მონაცემთა სუბიექტმა უნდა იცოდეს ან უნდა იყოს ინფორმირებული:

- (a) მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა;
- (b) მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- (c) მესამე პირები, რომლებსაც შესაძლოა პერსონალური მონაცემები გადაეცეს;

5.4. მონაცემთა დამუშავების ფარგლები

5.4.1. *შპს „მაქს ექსპრესს“*-ის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, *შპს „მაქს ექსპრესს“*-ი უფლებამოსილია, წინამდებარე მოცემული მიზნებით, განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის მისი პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

5.4.2. *შპს „მაქს ექსპრესს“*-ის მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ მონაცემთა სუბიექტისაგან ან მესამე პირ(ებ)ისაგან მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

5.4.3. *შპს „მაქს ექსპრესს“*-ის მიერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, *შპს „მაქს ექსპრესს“*-ის შეკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ ან/და როდესაც თავად *შპს „მაქს ექსპრესს“*-ი არის უფლებამოსილი პირი და მესამე პირების, როგორც

მონაცემთა დამმუშავებლის, დავალებითა და მათ სასარგებლოდ მოქმედებს) ან/და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მესამე პირებისთვის ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისთვის, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

- (ა) მონაცემთა სუბიექტის სახელი და გვარი;
- (ბ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები;
- (გ) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
- (დ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
- (ე) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- (ვ) ტრანზაქციების ისტორია;
- (ზ) შპს „მაქს ექსპრესს“-ში და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
- (თ) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული მონაცემთა სუბიექტის ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა);
- (ი) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და მონაცემთა სუბიექტისა ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);

6. კონფიდენციალური ინფორმაციის გახსნა

კონფიდენციალური ინფორმაციის გახსნა და მომხმარებელთა პირადი მონაცემების გადაცემა შესაძლებელია კომპანიასა და კონტრაგენტებს შორის დადებული საპარტნიორო შეთანხმებების ფარგლებში და მხოლოდ კომპანიის მომსახურებათა სათანადო გაწევის, გადახდების დამუშავების, ტექნიკური შეცდომების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

კონფიდენციალური ინფორმაციის გახსნა შესაძლებელია მარეგულირებელი ან/და მაკონტროლებელი ორგანოების მოთხოვნით, სასამართლო წესით, კანონმდებლობის სხვა ნორმების შესასრულებლად.

7. თაღლითობა

თაღლითობის ერთ-ერთი სახეობაა ფიშინგი - არასანქცირებული წვდომის და პირადი მონაცემების გამოყენების მცდელობები ვებ-რესურსის მომხმარებლისგან მათი მოპარვის გზით. ამისთვის თაღლითები იყენებენ ყალბ ელექტრონულ შეტყობინებებს ყალბ ვებ-გვერდზე მომხმარებლის შეტყუებით მოწვევის და საკუთარი პირადი მონაცემების შეყვანის დარწმუნების მიზნით.

კომპანია არ აგზავნის ელექტრონულ შეტყობინებებს მომხმარებლების პირადი მონაცემების მიღების მიზნით. კომპანიის თანამშრომლები არ ითხოვენ მომხმარებლებისგან პაროლებს პირად კაბინეტში შესასვლელად.

მომხმარებლის მიერ ამგვარი ელექტრონული შეტყობინების ან ტელეფონით მონაცემების მიწოდების თხოვნის მიღების შემთხვევაში უნდა მიმართონ ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურს, კომპანიის საიტზე მითითებული მისამართით.

8. სხვა ვებ-რესურსებზე გადასვლა

კომპანიის საიტი მოიცავს პარტნიორი კომპანიების ვებ-რესურსების ლინკებს. კომპანიის საიტზე განთავსებულ ასეთი რესურსების ლინკებზე გადასვლისას, მომხმარებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის, რომ თითოეულ კომპანიას აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვისა და დაცვის ინდივიდუალური პირობები და საკუთარი თავისებურებები.

კომპანია პასუხს არ აგებს მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცულობაზე სხვა ვებ-რესურსების ლინკებზე მათი გადასვლის შემდეგ.

კომპანიის საიტი ასევე შეიცავს სოციალური ქსელების კლიკაბელურ ლინკებს. სოციალური ქსელების სერვისებს მომხმარებელთა პირადი ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ინდივიდუალური წესისა და საკუთარი კონფიდენციალობის პოლიტიკის მიხედვით შეუძლიათ.

9. COOKIE-ფაილების გამოყენება

კომპანიის საიტზე შესვლისას ან მუშაობისას მომხმარებლები აღიარებენ კომპანიის უფლებას Cookie-ფაილების გამოყენებაზე სერვისის მომსახურებათა სათანადო შესრულების და ვებ-რესურსის მუშაობის უზრუნველსაყოფად.

10. საკონტაქტო ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „მაქს ექსპრესს“

მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ., N 45, მე-3 სართული ოფისი N 300
ტელ: +995 577 54 04 11 maxexpressgeo@gmail.com